

წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით, როდესაც ადგილი აქვს დამინებასა და ჩაგვრას.

ნაწილი IV _ შეფასება და თანამშრომლობა

14. შეფასება და შემოწმება

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, რეგულარულად აწარმოონ იმ სტრატეგიებისა და კურსის შეფასება, რომელიც მათ მიერ იქნა შერჩეული წინამდებარე ქარტიასთან დაკავშირებით და, საჭიროების შემთხვევაში, ამ სტრატეგიებსა და კურსში შეიტანონ სათანადო ცვლილებები. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია სხვა წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით, მაგალითად, რეგულარული კონსულტაციებისა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის საშუალებით. ასევე, ნებისმიერ წევრ ქვეყანას აქვს საშუალება, დახმარებისათვის მიმართოს ევროპის საბჭოს.

15. თანამშრომლობა შემდგომი საქმიანობისას

საშუალების არსებობის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოები უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, ევროპის საბჭოს საშუალებით, წინამდებარე ქარტიაში დასახული მიზნებისა და პრინციპების განხორციელების საქმეში, შემდეგი გზებით: